



საფარი
SAPARI

**ალიმენტის გადაუხდელობა –
კულტურული და საკანონმდებლო
გამონწევვები საქართველოში**



აღნიშნული კვლევა მომზადდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერით და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის კარგი მმართველობის ფონდის ფინანსური ხელშეწყობით.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) და დიდი ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალურ პოლიტიკას ან შეხედულებებს.

ალიმენტის გადაუხდელობა - კულტურული და საკანონმდებლო გამოწვევები საქართველოში

კვლევის ავტორი: გიორგი ურჩუხიშვილი

კვლევის კონსულტანტები: ეკა ლომთათიძე, ბაია პატარაია

კავშირი საფარი;

თბილისი, 2022

შესავალი/პრობლემის აღწერა.....	3
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	7
კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები, ანალიზი და შერჩევა.....	8
კულტურული და სოციალური წინაღობები	9
ქორწინების მიღმა გაჩენილი ბავშვები.....	9
მოლოდინები ქალის გენდერულ როლზე/სათნო ქალი	10
უადგილო თავმოყვარეობა/ამაყი ქალი	11
ალიმენტის დარიცხვის მოლოდინი.....	13
ოჯახი	13
ქალს თუ ოჯახი არ უნდა, უნდა „დაისაჯოს“.....	14
სოციალური უთანასწორობა.....	15
წინაღობები სასამართლოში.....	17
ალიმენტის თანხის ოდენობის კალკულაცია	17
სექსისტური სიძულვილის ენა სასამართლოში	19
გაჭიანურებული სასამართლო დავა	19
ალიმენტის აღსრულება	20
კადრების სიმცირე აღსრულების ეროვნულ ბიუროში.....	20
მხოლოდ ქონების დაყადაღება	21
აღსრულების დამოკიდებულება კრედიტორზე	21
კაცური კავშირების გამოყენება ალიმენტისაგან თავის ასარიდებლად.....	22
სოციალურად დაუცველი მამა, თუ სიღარიბით მანიპულაცია?	23
წინაღობები პროკურატურაში.....	24
მოწმის ვალდებულება.....	25
ალიმენტისგან ჯიუტად თავის არიდება, როგორც ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა.....	27
შეჯამება.....	27
ბიბლიოგრაფია:.....	30

შესავალი/პრობლემის აღწერა

ალიმენტი ლათინული სიტყვაა და ქართულად საზრდოს, საკვებს ნიშნავს. იურიდიულად ესაა ხარჯი, რომელსაც ოჯახს მოშორებული პირი კანონის ძალით სარჩენად უხდის თავისი ოჯახის შრომისუუნარო, ან არასრულწლოვან წევრს (შვილს, მშობელს, მეუღლეს). ალიმენტის სახეობებიდან მნიშვნელოვანია ოჯახის არასრულწლოვანი¹ წევრების სარჩენად გამოყოფილი ხარჯი. ბავშვს, ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, როგორც დაბადებამდე, ისე - დაბადების შემდეგ. მშობლის უფლება-მოვალეობა ბავშვის მიმართ აღზრდისა და რჩენის თვალსაზრისით განისაზღვრება გარკვეული ვადით ან კანონით გათვალისწინებული პირობებით. ისინი წარმოიშობა ბავშვის დაბადების მომენტიდან და წყდება ბავშვის მიერ 18 წლის ასაკის (სრულწლოვანების) მიღწევისას (ჯაფარიძე, 2018).

ბავშვის ალიმენტი მეტნაკლებად მოწესრიგებულია, თუ ერთ-ერთ მეუღლეს აქვს რეალური საჭიროება, ხოლო მეორეს - შესაძლებლობა, გადაიხადოს ისეთი ოდენობის ალიმენტი, რომელიც სამართლიანია ორივე მხარისთვის. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ტერმინები „საჭიროება“, „შესაძლებლობა“ და „სამართლიანობა“ - ძალიან სუბიექტური შეიძლება იყოს სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით (Wis. 1987). შესაძლოა, ყოფილმა ქმარმა, ყოფილ ცოლს გადაუხადოს ალიმენტი ოჯახის არასრულწლოვანი წევრისთვის, მაგრამ ის არ იყოს საკმარისი და შესაბამისად, სამართლიანი. ქორწინების შესახებ სოციალური და ინდივიდუალური მოლოდინები დატვირთულია კულტურული კონტექსტის მიერ შექმნილი ემოციებით და გენდერიზებულია. მართალია, განქორწინება, ან წყვილს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი ორივე გენდერისთვის სტრესულია, მაგრამ მაინც ქალები აღმოჩნდებიან ხოლმე განსაკუთრებით დაუცველნი, იმ კულტურული და ეკონომიკური წნეხების გამო, რომელშიც ისინი ხვდებიან განქორწინების გამო. კაცებთან შედარებით, ქალები ხშირად გაცილებით ღარიბები არიან და მათ, მარტო დარჩენილებს, უფრო უჭირთ ოჯახის არასრულწლოვანი ოჯახის წევრების რჩენა და აღზრდა (McMullen, J, 2011).

გარდა ამისა, საზოგადოებაში დედობის ირგვლივ იდეალიზებული მოლოდინები, რომლებიც მყარდება და წახალისდება ხოლმე სრულყოფილი დედის მედიასურათებით, განქორწინებულ ქალებს ხელს უწყობს, განუვითარდეთ

¹ ალიმენტს არათანამცხოვრები მშობელი უხდის ბავშვის მეურვეს. ეს უკანასკნელი, შეიძლება, საერთოდ არ ყოფილა მისი მეუღლე, შეიძლება ბავშვის მეურვე ბებია-ბაბუაა, ან სხვა პირი. მშობელი თანხას უხდის იმ ადამიანს, რომელიც ბავშვთან ცხოვრობს. კვლევა ძირითადად მეუღლეებთან ურთიერთობის ჭრილში ინტერესდება ალიმენტის გადახდის საკითხით და მცირედით არის განხილული ქორწინების გარეშე დაწყებული საალიმენტო დავებიც.

დანაშაულის გრძნობა. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს იმაზე, ითხოვენ თუ არა ქალები საერთოდ ალიმენტს და, როგორც ჩანს, ზემოაღნიშნული საზოგადოებრივი წნეხი უარყოფითად აისახება ქალების უნარზე, ბოლომდე იბრძოლონ ალიმენტისთვის. კულტურული და საკანონმდებლო წინაღობები დამაბრკოლებელი ხდება მათთვის. კარგი იქნება, განქორწინების შედეგად ქალისთვის გამოწვეული ზოგიერთი მძიმე ეკონომიკური ზემოქმედება შერბილდეს, თუ სახელმწიფო ბავშვის ალიმენტის საკითხს მეტ დროსა და ყურადღებას დაუთმობს (Mcmullen, J, 2011). გენდერიზებული დამოკიდებულებები და მოლოდინები, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს ქალების მიმართ, შესაძლოა, არსებობს თავად ქალებში და იმ ადვოკატებშიც, რომლებიც მათ იცავენ საალიმენტო დავებისას, ასევე, კაცებსა და მათ დამცველ ადვოკატებში და სახელმწიფო ინსტიტუტებში, სასამართლოში, აღსრულებასა და პროკურატურაში, ეს ყველაფერი კი ხელს უშლის ქალს, ბავშვისთვის სამართლიანი და საკმარისი ალიმენტის მიღებაში.

ალიმენტის დაკისრება-აღსრულების საკითხი, მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში საკმარისად შესწავლილი არ არის. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ალიმენტთან დაკავშირებით, ქართულ სივრცეში 2022 წლამდე არ ჩატარებულა არც ერთი გამოყენებითი ემპირიული კვლევა. არსებობს მხოლოდ რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი, ერთი სამაგიდე კვლევა და მცირე რაოდენობის ონლაინ სტატიები.

საქართველოში ალიმენტის დანიშვნის საკითხებს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ალიმენტის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას კი - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონი (ლომთათიძე, 2022). საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ალიმენტის დაკისრებასა და, შესაბამისად, მისი გადახდევინების სავალდებულო წესს. მშობლები მოვალენი არიან, არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ (სსკ-ის 1212 მუხლი). არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტების ოდენობას, ურთიერთშეთანხმებით მშობლები განსაზღვრავენ (სსკ-ის 1213 მუხლი). თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონივრული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას, სასამართლო მხედველობაში იღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას (სსკ-ის 1214 მუხლი).

საქართველოში რაიმე საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით არ არის განსაზღვრული და არ მოქმედებს სასამართლოსთვის სახელმძღვანელო კალკულაციები, როგორ იანგარიშება მშობლის ან მშობლების შემოსავლიდან ალიმენტი, როგორ განისაზღვრება ალიმენტისთვის რელევანტური შემოსავალი, რა მიმართებაშია ალიმენტის ოდენობასთან ბავშვების რაოდენობა და ასაკი, როგორ გავლენას ახდენს საცხოვრებელი ადგილი ბავშვის მატერიალურ მდგომარეობაზე, უზრუნველყოფს თუ არა ალიმენტი ბავშვისთვის მშობლის თანასწორ ცხოვრების სტანდარტს, რა გავლენა აქვს ინფლაციას ალიმენტის ოდენობაზე და ა. შ. სასამართლოები ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ 1214-ე მუხლით, ზოგადი სტანდარტების საფუძველზე და სასამართლო პრაქტიკაში არამართო ერთგვაროვნების მიღწევაა რთული, არამედ, ალიმენტის ოდენობები გადაწყვეტილებაში ჩნდება სრულიად სპონტანურად, რაიმე ობიექტური კალკულაციის გარეშე (ლომთათიძე, 2022)².

ალიმენტის გადამხდელს უნდა ახასიათებდეს საალიმენტო უფლებაუნარიანობა, ანუ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეასრულოს თავისი ვალდებულება. ალიმენტის დაკისრება იწყება სარჩელის წარდგენიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალიმენტის ძირითადი დანიშნულება ბავშვის ნორმალური აღზრდის მატერიალური უზრუნველყოფაა და არა - ყოფილი ცოლის/პარტნიორის მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

ალიმენტი დაუყოვნებლივ აღსასრულებელ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნება და მასზე ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება. აღმასრულებელი, რომელსაც აღსასრულებლად დაევალება საქმე ალიმენტის თემასთან დაკავშირებით, მოვალეს³ უგზავნის წინადადებას გადაწყვეტილების ნებაყოფლობით დაუყოვნებლივ შესრულების შესახებ. თუ მოვალე დაუყოვნებლივ არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, აღმასრულებელი მიმართავს შემდეგ იძულებით სააღსრულებო მოქმედებებს:

- მოვალის „მოვალეთა რეესტრში“ რეგისტრაცია, რომელიც იწვევს კანონით დადგენილ უფლებრივ შეზღუდვებს;
- მოვალის ქონების მოძიება, აღწერა, დაყადაღება, შეფასება და შეფასებიდან ერთი თვის ვადაში პირველი იძულებითი აუქციონის ჩატარება;
- მოვალისგან ამოღებული თანხები ირიცხება სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, საიდანაც დაიფარება აღსრულების საფასური და

² შეგიძლიათ, იხილოთ ეკა ლომთათიძის კვლევა: „ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება - საუკეთესო პრაქტიკის კვლევა“, და მასში განხილული კონკრეტული ქართული მაგალითები.

³ კვლევაში კაცი მოხსენიებულ იქნება, როგორც მოვალე, ხოლო ქალი - როგორც კრედიტორი.

ალიმენტის თანხა გადაერიცხება კრედიტორს, მის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე⁴.

მას შემდეგ, რაც პირს დაეკისრება ალიმენტის გადახდა, ხშირია შემთხვევები, როცა თანხის გადახდისაგან თავის არიდება ხდება. ზოგი თანხას ნებაყოფლობით იხდის, ზოგი ალიმენტვალდებული პირი კი, საერთოდ უგულებელყოფს აღნიშნულს. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანი არანაირ ქონებას არ ფლობს და, რა თქმა უნდა, მის მიერ თანხის გადახდა და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება ვერ ხერხდება. მას შემდეგ, როდესაც პირს დაეკისრება ალიმენტის გადახდა, არის შემთხვევები, რომ ალიმენტის გადამხდელის ადგილსამყოფელი უცნობია, ან იგი სპეციალურად არიდებს თავს ალიმენტის გადახდას. სწორედ ამ ვითარების გამო, მის მიმართ ცხადდება ძებნა. ხოლო, თუ მოვალე საზღვარგარეთაა, რა თქმა უნდა, ალიმენტის თანხის იძულებითი გადახდა შეუძლებელი ხდება, რადგან ასეთ დროს მოვალის ძებნა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება (აღსრულების ეროვნული ბიურო, 2018).

იმ შემთხვევაში, თუ მოვალის ძებნასთან დაკავშირებით ვერ მოხერხდა გადასახდელად წარდგენილი სააღსრულებო ფურცლის მიხედვით ალიმენტის დაკავება, ალიმენტის დავალიანებას ახდევინებენ მთელი გასული პერიოდისათვის, ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან/და ალიმენტის მიმღები პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევის მიუხედავად (სსკ-ის 1235 მუხლი).

შესაძლოა, ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში არსებულ პრობლემებს ემატება ის, რომ სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი ალიმენტის გადახდის დავალიანებისას გამოსაყენებელ ერთადერთ ზოგად მეთოდს ასახელებს - **“გადახდევინება შეიძლება მოხდეს მოვალის ქონებიდან”**. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ აღმასრულებლის “არსენალში” არ არის რაიმე ისეთი თანამედროვე, ინოვაციური, ხარჯთეფექტური მექანიზმი, რომლითაც ბავშვების სასიცოცხლო ინტერესების დროული დაცვა იქნებოდა შესაძლებელი, მაგალითად: გამოქვითვა შემოსავლის წყაროდან, ინფორმაციის შეგროვება აქტივების შესახებ, საიდანაც შეიძლება მოხდეს ანაზღაურება, პასპორტის ან ნებართვების შეჩერება და ა. შ. (ლომთათიძე, 2022).

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ ალიმენტის დაკისრების, არშესრულებისა და გასაჩივრების შემდეგაც არ ხდება ხშირად ალიმენტის გადახდა ბავშვისათვის. ამას ადასტურებს ისიც, რომ სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ნაწარმოებ დანაშაულების სტატისტიკაში, ალიმენტის გადახდისათვის ჯიუტად თავის არიდების დანაშაული თითქმის არ ფიქსირდება. მაგალითად, 2015 წლის

⁴ http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=536&lang_id=GEO

ანგარიშში მსგავსი მხოლოდ ერთი დანაშაული ფიქსირდება, ხოლო, 2016-2020 წლების სტატისტიკაში - არც ერთი. ეს კიდევ აჩენს ვარაუდს, რომ ალიმენტის გადახდის აღსრულების საკითხი ქვეყანაში შეუსწავლელია და აღუსრულებელი საქმეების ძალიან მცირე რაოდენობა მიდის პროკურატურაში. ეკა ლომთათიძის მიხედვით, „საქართველოს კანონმდებლობას, როგორც ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, ისე მისი აღსრულების თვალსაზრისით, ახასიათებს უკიდურესი აბსტრაქტულობა და სიმწირე, პრაქტიკული სტანდარტებისა და მექანიზმების შემოთავაზების მხრივ“ (ლომთათიძე, 2022). სავარაუდოდ, შესაძლოა, სისტემა ვერ უზრუნველყოფს ალიმენტის აღსრულებას, ამ გარემოებაზე კი გარკვეული საკანონმდებლო, ან კულტურული წინაღობები ახდენს გავლენას. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც დაიგეგმა სოციოლოგიური კვლევის ჩატარება, რომელმაც სცადა ბავშვის ალიმენტთან დაკავშირებით ქართული ცოდნის შეგროვება. აღნიშნული კვლევა არ არის რეპრეზენტატული და ყველა იმ ადამიანის პრობლემებზე ვერ განზოგადდება, ვისაც საალიმენტო დავის გამოცდილება ჰქონია, თუმცა, სამომავლოდ, ეკონომიკური ძალადობის შესახებ რაოდენობრივი, ან უფრო მასშტაბური თვისებრივი კვლევის ჩატარებისთვის კარგ თეორიულ საფუძველს ქმნის.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს, საქართველოში ოჯახის არასრულწლოვანი წევრის/წევრებისთვის მამის მხრიდან ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებული კულტურული და საკანონმდებლო წინაღობებზე ემპირიული ცოდნის შეგროვება, ხოლო ამოცანებს წარმოადგენს:

- საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალების შესწავლა და იმ კულტურული ბარიერების გამოძევა, რომელთა წინაშეც, შესაძლოა, ყველა ის ქალი იდგეს საქართველოში, რომელიც ალიმენტისთვის დავობს;
- ალიმენტის ოდენობის კალკულაციის ხერხებისა და ზოგადად სასამართლოსა და მოსამართლეების საალიმენტო დავებში ჩართულობისა და როლის შესწავლა;
- ალიმენტის აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ზოგადი ხარვეზების შესწავლა;
- საალიმენტო დავებში პროკურატურისა და პროკურორების ჩართულობისა და როლის შესწავლა.

კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები, ანალიზი და შერჩევა

კვლევის ამოცანების შესასრულებლად, პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია შეგროვდა თვისებრივი მეთოდოლოგიის, კერძოდ, ფოკუს-ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდების გამოყენებით. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა სამოქალაქო განხრის ადვოკატებთან, სოციალურ მუშაკებთან და საფარის ბენეფიციარ ქალებთან (ჯამში 2 ფოკუს-ჯგუფი⁵), სადაც გაირკვა ის სავარაუდო კულტურული წინაღობები და საკანონმდებლო პრაქტიკები, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ალიმენტის ოდენობის გამოთვლასა და აღსრულებაზე. ფოკუს-ჯგუფების შემდეგ, გამოვლინდა სავარაუდო საკითხების ჩამონათვალი, რის ოპერაციონალიზაციის შედეგად, შეიქმნა სიღრმისეული ინტერვიუს ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა 3 მოსამართლესთან, აღსრულების ბიუროს 5 თანამშრომელთან და 5 პროკურორთან. დამატებით, სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე 2 ქალთან და 3 სამოქალაქო ადვოკატთან. ჯამში ჩატარდა 18 სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუების დასრულების შემდეგ, მომზადდა ფოკუს-ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების ტრანსკრიპტები, ხოლო, შეგროვებული სოციოლოგიური ინფორმაცია გაანალიზდა სიღრმისეული ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფის მონაცემთა ანალიზის ხერხების გამოყენებით. განხორციელდა მონაცემების კოდირება და თეორიული ინტერპრეტაცია.

კვლევის დროს გამოყენებულია არაალბათური შერჩევის, კერძოდ, მიზნობრივი და ხელმისაწვდომი შერჩევის მეთოდები, ასევე, გამოყენებულია თოვლის გუნდის ხერხი. საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალები მოძიებულია კავშირი „საფარის“ ბენეფიციართა ბაზიდან. სამოქალაქო განხრის ადვოკატები წარმოადგენენ კავშირ „საფარს“ და სხვა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხოლო მოსამართლეთა, აღმსრულებელთა და პროკურორთა შერჩევისას, გამოყენებულია ორგანიზაციული შერჩევის ხერხი. ქვემოთ მოცემულია შეგროვებული სოციოლოგიური ინფორმაციის ანალიზი და ინტერპრეტაცია, კვლევის ამოცანების მიხედვით. კვლევა თვისებრივია და მისი მონაცემების მხოლოდ თეორიული განზოგადების საშუალება არსებობს.

კვლევის დროს შეგროვებული თვისებრივი მონაცემების კოდირება განხორციელდა კვლევის ამოცანების მიხედვით. პირველ რიგში, ინფორმაცია დაჯგუფდა საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალების მონათხრობიდან და შეიქმნა პირველი დიდი თეორიული კატეგორია, იმ კულტურული და

⁵ „საფარის“ ბენეფიციარ ქალებთან ფოკუს-ჯგუფი ბოლომდე არ შედგა, ვინაიდან ქალები პროცესში არ ლაპარაკობდნენ და ბევრმა დატოვა ჯგუფი. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს კვლევის დროს განხორციელებულ მსჯელობას, რომ საქართველოში ქალებს არამართო უჭირთ, არამედ მასზე ღიად საუბარიც კი ეუხერხულებათ.

სოციალური წინაღობების შესახებ, რომლებიც ქალებს ხელს უშლის, ბოლომდე მიყვანენ საალიმენტო დავას. აღნიშნული კატეგორიის ქვეშ გამოიყო რამდენიმე პატარა კატეგორია, რომელიც განხილულია ქვემოთ.

კულტურული და სოციალური წინაღობები

ქორწინების მიღმა გაჩენილი ბავშვები

რესპონდენტების ნარატივმა გამოამჟღავნა, რომ პატრიარქალურ საზოგადოებაში, რომელიც ამავედროულად კაპიტალისტურია, შესაძლოა, ყველაფრის მფლობელად და მესაკუთრედ აღიქმებოდეს კაცი. ამიტომ, მაგალითად, მარტოხელა დედები, რომლებმაც ქორწინების გარეშე გააჩინეს ბავშვი, ცდილობენ არა საალიმენტო დავის წამოწყებას, არამედ, პირველ რიგში, აკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ ბავშვმა მიიღოს მამის გვარი. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ქალები საკუთარ თავს იუფასურებენ - თავად ზრდიან შვილებს, წვლობენ და მაინც უნდათ, რომ კაცმა გვარი მისცეს და არ იყვნენ ბავშვები დედის გვარზე. ამით, თითქოს ქალები ცდილობენ, ბავშვი დაიცვან სტიგმატიზაციისგან, რომ ის არის „უკანონო ბავშვი“ და იმდენად პრიორიტეტული ხდება ეს საკითხი, ხშირად აღარც ფიქრობენ ალიმენტზე. შესაძლოა, ჯერ არსებობს სტიგმატიზაციის შიში და შემდეგ „სხვა დანარჩენი“⁶. რესპონდენტების ნარატივში გამომჟღავნდა, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია სოციალურად სასურველი ქცევები და შესაბამისად, „დევიანტი“ ქალის (რომელმაც ქორწინების გარეშე გააჩინა ბავშვი) და მისი უკანონო შვილის მიმართაც არსებობს უარყოფითი დამოკიდებულება. ამიტომ, ქალები ცდილობენ, ბავშვი დაიცვან ამ ნეგატიური დამოკიდებულებისგან და გვარის მოპოვებით ფიქრობენ, რომ ამ ბავშვებს ჩასვამენ საკანონმდებლო და კულტურულ ჩარჩოში და ამით დაიცავენ საზოგადოებისგან. ამ პროცესში ისინი უამრავ ენერგიასა და ემოციას ხარჯავენ და საერთოდ ვეღარ მიდიან ალიმენტის საკითხამდე.

„ეს არის უფრო ღირებულებებითი ნაწილი, კულტურული მოლოდინები, რომ შენი შვილი არის სტიგმატიზირებული, „ნაბიჭვარი“ და აი, კანონის ადგილზე ჩარჩოში ჩასვა რა... რაღაც ჩარჩოში მოაქციო და ამ გზაზე ძალიან იღლები, საალიმენტო დავის თავი აღარ გაქვს“ (საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალი).

⁶ კვლევის ანგარიშში, ციტირებების გარდა, ბრჭყალებით მოცემულია ის სიტყვები და წინადადებები, რომლებიც რესპონდენტების თხრობიდან იქნა გამოყენებული.

როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი აღნიშნავს, გვარის მიცემისას მემკვიდრეობის თემაც კი არ შემოდის, ვინაიდან მემკვიდრეობა და ქონება ძალიან შორეული პერსპექტივაა ბავშვისთვის, მისი აღზრდა კი საწყის წლებშია განსაკუთრებით რთული. შეჯამებისთვის, გარდა სოციალური ნორმისა, რომ ბავშვი არ გახდეს სტიგმატიზებული, მარტოხელა დედები ალიმენტის დავის დაწყების სანაცვლოდ, იუფასურებენ თავს და ისევ კაცს ჩუქნიან ბავშვს, რომ ეს ბავშვი გვარის საშუალებით ისევ მამის საკუთრება იყოს და არა - დედის, რითიც ცდილობენ, სოციალურ წესრიგს მოერგონ.

მოლოდინები ქალის გენდერულ როლზე/სათნო ქალი

ერთი რესპონდენტი ქალი ამბობს, რომ ქალები ხშირად განქორწინების შემდეგაც არ იწყებენ საალიმენტო დავას, იმიტომ, რომ ისინი ერგებიან ქალზე გენდერული როლის საზოგადოებაში არსებულ მოლოდინს, რომლის მიხედვითაც, ქალი უნდა იყოს მომლაპარაკებელი, მშვიდი და სათნო. მან კარგი ურთიერთობა უნდა შეინარჩუნოს ყოფილ ქმართან და არსებობს სტერეოტიპი, რომ ყოფილ ცოლთან კარგ ურთიერთობაში მყოფი მამა უფრო მეტს გააკეთებს ბავშვისთვის, ვიდრე დაწესებული ალიმენტის კონკრეტული თანხის გადმორიცხვაა. რესპონდენტი იხსენებს, რომ როდესაც ის აპირებდა საალიმენტო დავის დაწყებას, მეგობრები აჩერებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ჯობდა თავი შეეკავებინა და მამას თავისით გამოეთქვა ბავშვის უზრუნველყოფის სურვილი.

„ჩემს ირგვლივ არის ძალიან ბევრი განქორწინებული ქალი და პრინციპში, მიჭირს ამ წუთას ასე გავიხსენო ერთი ადამიანი მაინც, რომელმაც ოფიციალურ დონეზე მოაწესრიგა და მოაგვარა ალიმენტის საკითხი. როგორც წესი, ერთი, რომ მე მგონი ამ შემთხვევაში ქალებთანაც ეს გენდერული როლის ამბავი აქვთ, რომ მოლაპარაკებები უნდა იყოს, საყვარელი უნდა იყოს... მიუხედავად იმისა, რომ ძველი, ყოფილი ქმარია, მასთან ურთიერთობის გაფუჭებას უფრთხილდება“ (საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალი).

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ ხშირად მამები შვილებთანაც წყვეტენ ემოციურ ბმას, როდესაც ყოფილ ცოლებთან ასრულებენ ურთიერთობას და კონფლიქტში შედიან მათთან. ქალი რესპონდენტი ამბობს, რომ ქალებს საზოგადოება აშინებს კიდევ ერთი ცრუ მითით, რომ თუ ქალი სასამართლოს გზით ბავშვს ალიმენტს მოუპოვებს, ბავშვი მამისთვის ალიმენტის ანგარიშის ციფრები ხდება და ამის იქით, წყვეტს ურთიერთობას. სხვა ქალი რესპონდენტის აზრით, პირიქით, ალიმენტის დაწესების შემდეგ უფრო ლაგდება და მშვიდდება ურთიერთობა ქალს, კაცსა და ბავშვს შორის. მამებიც უფრო იწყებენ ურთიერთობას შვილებთან. ერთ-ერთი

რესპონდენტის თქმით, ალიმენტის დაწესების შემდეგ, ქალსა და კაცს შორის კომუნიკაციაც უფრო ცივილიზებული და მოწესრიგებული ხდება.

უადგილო თავმოყვარეობა/ამაყი ქალი

ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი ამბობს, რომ ხშირად ქალები ალიმენტთან დაკავშირებით უადგილო თავმოყვარეობას ავლენენ. მისი თქმით, ფრანგებს აქვთ ერთი გამოთქმა, „სიამაყე არასწორ ადგილას აქვს გაკეთებული“, რომელიც ზუსტად შეესაბამება ალიმენტის საკითხს. ის დასძენს, რომ რეალურად ამ „სიამაყისა“ და „თავმოყვარეობის“ უკან რამდენიმე გენდერულად მჩაგვრელი ინტერპრეტაცია და მითი დგას, რომლის გამოც ქალებს, შესაძლოა, უწევდეთ თავიანთი თავების თავმოყვარე და ამაყ ადამიანებად წარმოჩენა. ერთ-ერთი ასეთი მითი, რესპონდენტების მიხედვით, არის ის, რომ „თითქოს ქალები „დასდევენ ფულს“, „მეშჩანები“ და „ვიგოდნიცები“ არიან და ეს ყველაფერი „საკუთარი თავისთვის, ბოტოქსებისა და გართობისთვის“ უნდათ და არა - ბავშვისთვის“. კაცები აღნიშნულ ცრუ მითს ხშირად პირადი საუბრების დროსაც კი იყენებენ, რომ ქალები დანამუსებით გააჩერონ ალიმენტის მოთხოვნისას. სინამდვილეში, ალიმენტი ბავშვის საჭიროებაა და არა - ქალის, რის არასწორ ინტერპრეტაციასაც ხშირად აქვს ადგილი ალიმენტის დავებისას. ერთ-ერთი ქალი რესპონდენტი იხსენებს:

„მე მიმოწერაც მაქვს ამ ჩემს ყოფილ პარტნიორთან, სადაც ძალიან შეურაცხყოფელ რეპლიკებს ისვრის ჩემს მიმართ, რომ მე მინდა ეს ფული და არა - ბავშვს“ (საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალი).

საზოგადოებაში იმდენად გამჭდარია ეს ცრუ მითი, რომ თითქოს ალიმენტს ქალი ითხოვს თავისთვის და არა - ბავშვის საჭიროებისთვის, რომ ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, კაცების მხრიდან ხშირია DNM-ის ანალიზის მოთხოვნაც იმაში დასარწმუნებლად, რომ ალიმენტს საკუთარ შვილს უხდიან და არა - „დევიანტ“ ქალს. ქალი რესპონდენტების აზრით, ეს იმდენად შეურაცხყოფელია, რომ შეიძლება, საერთოდ შეწყვიტოს ქალმა საალიმენტო დავა.

ამ მოსაზრებას ეთანხმებიან კვლევის მონაწილე ადვოკატებიც. მათი თქმით, კაცები ხშირად ამბობენ, რომ ალიმენტს არ გადაუხდიან ქალს, იმიტომ რომ ის ამას პირადი საჭიროებისთვის გამოიყენებს.

„250 ლარი, ვითხოვდით ამ ბავშვისთვის და სკოლის მოსწავლე იყო, რომელიც რამდენიმე საგანში დადიოდა და შიგადაშიგ ექიმთან სიარულიც სჭირდებოდა <...> ქმარი ამბობდა, მე ქალს რატომ ჩავურიცხო ფულიო, დედამისზე იძახოდა, მე რა ვიცი, ეს იქნება გაიპრანჭოს, სალონში

დახარჯოს და ვილაცას გაეპრანჭოსო, ამიტომ პირდაპირ მასწავლებელს გადავუხდიო, ან პირდაპირ საავადმყოფოს გადავუხდიო“ (ადვოკატი).

სასამართლოში საალიმენტო დავის დაწყება ქალებისთვის არა მხოლოდ პერსონალურ, არამედ სოციალურ სირთულესაც წარმოადგენს. თუ ქალს ჰყავს ოჯახი, მშობლები და ნათესავები, მათზე გადადის ე.წ. „სოციალური სირცხვილი“, რომ თითქოს ქალი ფულს საკუთარი თავისთვისა და გართობისთვის ითხოვს. შესაბამისად, ქალები ხშირად თავს იკავებენ საალიმენტო დავის დაწყებაზე, რომ მისი ოჯახი და ნათესავები არ გახდნენ საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზებული.

ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი ამბობს, რომ ალიმენტის მოთხოვნის მხრივ, ის იმდენად პირველი იყო თავის სანათესაოსა და გარემოცვაში, რომ ის ამ გარემოცვისთვისაც ვილაც უცხო ადამიანად გადაიქცა, რომელიც „ცუდად იქცეოდა“, ალიმენტის მოთხოვნის გამო.

„არავინ შენ ირგვლივ ალიმენტს არ ითხოვს და უცებ შენ დგები და ითხოვ ალიმენტს. ვილაცა უცხო, რომელიც ძალიან ცუდად იქცევა. სანათესაოც კი ალმაცერად მიყურებდა“ (საალიმენტო დავის გამომცდილების მქონე ქალი).

ერთ-ერთი რესპონდენტი ქალი იხსენებს, რომ ერთი მხრივ, საზოგადოება უჩენს ქალებს დანაშაულის განცდას საალიმენტო დავის დაწყების გამო და მეორე მხრივ, სასამართლოში მოსამართლე და ადვოკატები ისეთი ტერმინებით ლაპარაკობენ, რომლებიც ქალებისთვის გაუგებარია და უფრო მეტად გაუცხოებას იწვევს მათში, რის გამოც შეიძლება, დანებდნენ საალიმენტო დავის პროცესში. საქართველოში ქალებს ალიმენტთან დაკავშირებული იურიდიული წიგნიერება, შესაძლოა, არ აქვთ. ამას ემატება ისიც, რომ ქალები თავად იწყებენ საკუთარი თავის სტიგმატიზებას, ფიქრობენ, რომ საალიმენტო დავის დაწყების გამო ისინი ყველას მხრიდან „დამნაშავედ“ აღიქმებიან. შესაძლოა, მოსამართლე სულაც არ გენდერულ მგრძნობელობას მოკლებული, მაგრამ ქალს მაინც ასე ჰგონია, რომ მოსამართლეს „ცუდად“ უყურებს, იმიტომ, რომ საზოგადოებრივი სტიგმებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს „დამნაშავედ“ თვლის ალიმენტის მოთხოვნის გამო.

„ჩემი პირველადი განწყობა და გრძნობები იყო ის, რომ ეს მოსამართლე ახლა ცუდად მიყურებს, იმიტომ რომ მე ვითხოვ ალიმენტს“ (საალიმენტო დავის გამომცდილების მქონე ქალი).

არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ მოსამართლემ ქალის მხარე დაიჭირა და ეს უბრალოდ საზოგადოებიდან გამომდინარე, ქალის წინასწარი განწყობა იყო.

„მოსამართლემ დაიჭირა მეორე სასამართლოზე სრულიად ჩემი მხარე. 400 ლარი ალიმენტი დამინიშნეს, იმიტომ რომ ძალიან დიდი ალიმენტია. იგივე ქალი შემხვდა ორჯერ. მაგარი ქალი იყო, მოკლედ რომ გითხრა“ (საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალი).

ალიმენტის დარიცხვის მოლოდინი

დამატებით, კულტურული წინაღობაა ალიმენტის დარიცხვის მოლოდინის რეჟიმი. გამოკითხული ქალები ამბობენ, რომ ყოველთვიური მოლოდინი, თუ რას იზამს მამა, დარიცხავს თუ არა ალიმენტის თანხას, იმდენად სტრესული და დამღლელია, რომ ქალმა, შესაძლოა, სრულიად მიატოვოს ეს საკითხი და აღარც მოითხოვოს დაურიცხავი ალიმენტის გადახდა. ერთ-ერთი რესპონდენტი მოსამართლეს ამბობს, რომ იმდენად დამღლელია ქალისთვის საალიმენტო დავის პროცესი, რომ მას თავადაც არ უსარგებლია ბავშვის ალიმენტის უფლებით, „შეეშვა“ თავის ყოფილ ქმარს და არ მოუთხოვია ალიმენტი.

ოჯახი

ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს, რომ ხშირად კაცები იმიტომ არ იხდიან ალიმენტს, რომ ბავშვი, როგორც მოვლენა, ოჯახს მიღმა მათ ცნობიერებაში არ არსებობს, ოჯახში მყოფ ბავშვს თავისად აღიქვამენ, ოჯახის გარეთ მყოფს კი - უკვე აღარ. ადვოკატი რესპონდენტის თქმით, კაცებს პასუხისმგებლობა აქვთ ოჯახის ინსტიტუტის და არა ბავშვის მიმართ. ის ამბობს, რომ თუ კაცი ოჯახშია და არ შრომობს, არ უზრუნველყოფს შვილებს, საზოგადოება მას კიცხავს და უსაქმურად მოიხსენიებს, მაგრამ თუ წყვილი განქორწინდა და ასეთ შემთხვევაში არ უზრუნველყოფს მამა შვილებს, ამას პირიქით, საზოგადოება და გარემოცვა, შესაძლოა, ახალისებს კიდევ, როდესაც ოჯახს მიღმა მყოფ ბავშვებს უგულებელყოფს. აქვე, საინტერესო მოვლენა გამოვლინდა - შესაძლოა მამა იხდის ფინანსურ ვალდებულებას, მაგრამ არ ზრუნავს ბავშვებზე. ზრუნვა, როგორც კაპიტალი, შესაძლოა, საქართველოში არასწორად იყოს გაგებული.

ამ მოსაზრებას, რომ ოჯახის მიღმა ბავშვები უგულებელყოფილები არიან, ერთ-ერთი ქალი რესპონდენტიც ამყარებს, რომელიც ყვება, რომ მისი შვილის მამას სხვა ოჯახი და კიდევ ორი შვილი ჰყავდა. სასამართლოზე იგი მანიპულირებდა იმ ბავშვებით, რომლის ოჯახის წევრადაც თვლიდა თავს და ამბობდა, რომ მას აღარ აქვს ფული იმიტომ, რომ ინახავს სხვა შვილებსაც. პროცესზე ქალის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა და მოსამართლემ კაცს შეახსენეს, რომ ჰყავდა მესამე

შვილიც, რომელიც, მართალია, ოჯახის ინსტიტუტის გარეთ, მაგრამ მაინც მისი შვილი იყო.

კაცის ოჯახის მიღმა მყოფი ბავშვები ხშირად მამის მხრიდან ბებიებსა და სხვა ნათესავებსაც არ აღელვებთ. როგორც ერთ-ერთი ადვოკატი რესპონდენტი ყვება, კაცებს პროცესებზე მოყვებიან დები და დედები, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, დაეხმარონ ძმასა და ვაჟიშვილს ალიმენტის თავიდან არიდებაში. დედები ხშირად ამბობენ, რომ აქვთ ჯანმრთელობის პრობლემა და მათზე შვილები ზრუნავენ. შესაბამისად, იწყება ვაჭრობა, რომ რაც შეიძლება შემცირდეს ალიმენტის თანხა, რომელიც ბავშვს მამამ უნდა გადაუხადოს.

ქალს თუ ოჯახი არ უნდა, უნდა „დაისაჯოს“

კვლევამ გამოამჟღავნა ოჯახის თემით მანიპულაციის კიდევ ერთი მოვლენა. აქ მნიშვნელოვანია განქორწინება. განქორწინებაზე, როგორც ალიმენტის მოვლენასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სოციალურ ფენომენზე, კვლევაში კიდევ იქნება საუბარი, თუმცა, მანამდე აღსანიშნავია კიდევ ერთი კულტურული ბარიერი. საზოგადოება მიიჩნევს, რომ თუ ქალმა გადაწყვიტა განქორწინება და აღარ უნდა კაცთან ცხოვრება, ის ამის გამო უნდა „დაისაჯოს“ და ამ „დასჯაში“ ყველაზე მეტად ბავშვები ზარალდებიან. ხშირად, მამები ბავშვებთანაც წყვეტენ ყველანაირ ბმას და ცდილობენ, თავი აარიდონ ალიმენტის გადახდას. როგორც ერთ-ერთი ადვოკატი იხსენებს, კაცებს სასამართლოზე ხშირად აქვთ არგუმენტი, რომ „მას ოჯახი არ უნდოდა და ახლა ღირსი არაა ალიმენტის“. კვლევის მონაწილე ადვოკატები თანხმდებიან, რომ ქართული საზოგადოება ოჯახზე ცენტრირებული უფროა, ვიდრე - ბავშვზე.

ადვოკატების თქმით, ისინი ხშირად ეხმარებიან ქალებს ალიმენტის მოთხოვნაში ისეთი ოჯახის წარმომადგენელი კაცისგან, რომელიც მდიდარი ოჯახიდან არის, მაგრამ მასზე არანაირი საკუთრება და შემოსავალი არ ფიქსირდება, რადგან მისი მშობლები არ ურეგისტრირებენ ქონებას. როგორც ადვოკატი რესპონდენტები აღნიშნავენ, ასეთი პრაქტიკა საკმაოდ ხშირია და იგი ეფუძნება გავრცელებულ სტერეოტიპს, რომ „რძალი შეიძლება, წავიდეს, წაიყვანოს ბავშვები და ჯობია, არაფერი შეხვდეს განქორწინების შემდეგ ქმრის ქონებიდან“. ერთმა ადვოკატმა რესპონდენტმა გაიხსენა ქალი, რომელიც მდიდარი ოჯახის რძალი იყო და ოჯახში ცხოვრებისას ბავშვებს არაფერი აკლდათ, მაგრამ განქორწინების შემდეგ, ეს ოჯახი და მამა 300-ლარიან ალიმენტზეც კი უარს ამბობდა.

დამატებით, ადვოკატები ამბობენ, რომ შეიძლება, კაცმა თქვას, რომ შემოსავალი არ აქვს და ოფიციალურად მართლაც არ უფიქსირებოდეს არანაირი შემოსავალი, რის გამოც ცდილობს, არ გადაიხადოს 150-ლარიანი ალიმენტიც კი და ამავდროულად, ძალიან დიდ თანხას უხდიდეს ადვოკატს, რომელიც მას დავის პროცესში იცავს. მამებს ზოგჯერ ურჩევნიათ, ადვოკატს მისცენ ფული, ვიდრე - საკუთარ შვილებს.

სოციალური უთანასწორობა

ადვოკატი რესპონდენტები ამბობენ, რომ გარდა იმისა, რომ ქალმა უნდა გადალახოს ის კულტურული წნეხი, რომელიც ქართულ საზოგადოებაში ფულის მოთხოვნაზე არსებობს, რომლის მიხედვითაც, ქალი ანგარებიან არსებად არის გამოყვანილი, არსებობს სხვა რეალური პრობლემებიც, რომელიც ხელს უშლის საალიმენტო დავის დაწყებას. ერთ-ერთი ადვოკატი რესპონდენტის მიხედვით, იმდენად ბევრი ქალი დავობს საქართველოში ალიმენტს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც არ ჰყავთ საკმარისი რაოდენობის ადვოკატები გენდერული წიგნიერებითა და მგრძნობელობით, რომ ყველა მათგანს გაუწიონ უფასო კონსულტაცია. სწორედ ამ დროს, შესაძლოა, ჩნდება ფენობრივი და გეოგრაფიული უთანასწორობის შტრიხები საალიმენტო დავებისას. ქალები, რომლებიც საშუალო, ან მაღალ ფენას მიეკუთვნებიან, შესაძლოა, უფრო მეტ ინფორმაციას ფლობენ საალიმენტო დავის პროცესისა და კარგი ადვოკატების შესახებ, რომლებიც ერკვევიან და თანხმობას ამბობენ, საალიმენტო დავაში დაიცვან ქალები. ასევე, გეოგრაფიულად, შესაძლოა თბილისში, განსაკუთრებით, თბილისის ცენტრში მცხოვრები ქალებისთვის უფრო ხელმისაწვდომია გამოცდილი ადვოკატი და ინფორმაცია, რომელიც მათ საალიმენტო დავისას გამოადგებათ, ვიდრე - თბილისს გარეთ, რეგიონებში, პატარა ქალაქებსა თუ სოფლებში.

ამას ადასტურებს ერთ-ერთი ადვოკატის ნაამბობიც. ის ამბობს, რომ ფიზიკურად არ არიან იურისტები, ადვოკატები, რომლებიც ქალების დახმარებას შეძლებენ საალიმენტო დავებში. ამ მიმართულებით, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაც არ მუშაობს. ამან შესაძლოა, საშუალო და დაბალი ფენის, ან თბილისს გარეთ მცხოვრებ ქალს ხელი შეუშალოს საალიმენტო დავის დაწყებაში.

გარდა ამისა, ქალებს არ აქვთ იმის საშუალება, რომ კერძო ადვოკატს გადაუხადონ თანხა და აღარც რესურსი აქვთ, შეუფერხებლად იარონ სასმართლოსა და აღსრულების ბიუროში. დამატებით, ქალი რესპონდენტები ამბობენ, რომ

ტექნიკურად ძალიან გართულებული და გაწელილი პროცესია საალიმენტო დავა და შეიძლება, მალევე ამოეწუროს ქალს ენერგია, ნებისყოფა და დანებდეს.

„მე როცა ვითხოვდი, ადვოკატის ხუთასი ლარიც არ მქონდა და არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ გეხმარებიან. ისედაც ყველაფერზე შენ თვითონ უნდა ირბინო ფეხით და ტექნიკურად არის იმდენად გართულებული პროცესი... მე ორი სასამართლო მქონდა. მაგისი რესურსი აღარ გამაჩნია, რომ არ დაერიცხა კაცს, კიდევ გამეგრძელებინა დავა“ (საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალი).

დამატებითი პრობლემა, რომელსაც ქალი რესპონდენტები ასახელებენ, შესაძლოა, იყოს საალიმენტო დავებში გამოუცდელი ადვოკატების მონაწილეობა, ვინაიდან საოჯახო საქმეების განხილვის გამოცდილება ჯერ, შესაძლოა, არ არსებობს საქართველოში. ამას ემატება კულტურული წნეხი ადვოკატზე - ვინაიდან, საოჯახო დავებისას ძალიან პერსონალური თემების განხილვა მიმდინარეობს, ადვოკატები ხშირად ვერ ახერხებენ საკუთარი ემოციებისა და საქმის დიფერენცირებას და იბნევიან.

გარდა ამისა, ქალებს არ აქვთ ინფორმაცია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც მათ, შეიძლება, საალიმენტო დავის დროს დაეხმარონ. კიდევ ერთი ქალი რესპონდენტი ამბობს, რომ რომ არა შემთხვევით ტელევიზიიდან გაგებული არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარი“, რომელიც მას დედამისმა ურჩია, მისთვის შეუძლებელი იქნებოდა საალიმენტო დავის დაწყება, ვინაიდან არ იცოდა, რა ექნა და საიდან დაეწყო საქმე.

სამოქალაქო განხრის ადვოკატები ამბობენ, რომ მათი ბენეფიციარები ძირითადად არიან დაბალი, ან ისეთი საშუალო ფენის ქალები, რომლებმაც მტკიცედ გადაწყვიტეს, კაცს გაააზრებინონ თავიანთი მოვალეობები და პასუხისმგებლობები შვილის მიმართ. ადვოკატების მიხედვით, შესაძლოა, არსებობდეს სოციალური მოვლენა, რომ ქალები ალიმენტის მოთხოვნის გასამართლებლად იყენებენ ფრაზას, რომ მათ მართლა ძალიან უჭირთ და ამიტომ ითხოვენ ბავშვის ალიმენტს. შესაძლოა, არსებობს სოციალური განცდა, რომ თუ ქალი ხარ და მართლა არ გიჭირს, ალიმენტის მოთხოვნა სირცხვილი და დანაშაულია. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს, რომ თუ ქალს შემოსავალი აქვს, ხშირად, ის არ ითხოვს ალიმენტს. მხოლოდ მაშინ იწყებს აალიმენტო დავას, თუ უკიდურესად უჭირს და სხვა გზა აღარ რჩება.

კვლევის ფარგლებში გამოკითხული სოციალური მუშაკი ამბობს, რომ მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, საშუალო ფენის უმაღლესი განათლების მქონე

მამები ხშირად სადავოს არ ხდიან ბავშვზე ეკონომიკურ ზრუნვას. პრობლემა შეიძლება თავს იჩენდეს, ერთი მხრივ, უფრო დაბალი განათლების, შესაბამისად დაბალი შემოსავლისა და მეორე მხრივ, მაღალი ფენის ქალებსა და კაცებს შორის. ეს შეეხებათ იმ მაღალი ფენის ქალებს, რომლებიც ცხელ გულზე ხშირად იღებენ გადაწყვეტილებას, არ მოითხოვონ ალიმენტი, რადგან თავადაც აქვთ ბავშვზე ზრუნვის ყველანაირი საშუალება და ამასთან, შეიძლება მოითხოვონ მამობის უფლების ჩამორთმევა. გარდა ამისა, მაღალი შემოსავლის მქონე კაცები უფრო ხშირად დავობენ ალიმენტზე, ვინაიდან თვლიან, რომ ქალი თანხას ითხოვს თავისი პირადი საჭიროებებისთვის და არა - ბავშვისთვის. აქვე აღმოჩნდა, რომ ყველაზე ცუდი მოპასუხე, რომელიც თავს არიდებს ალიმენტის გადახდას, შეიძლება იყოს კაცი, რომელიც ადვოკატია, ან მოსამართლე, რომელსაც აქვს საკმარისი იურიდიული გამოცდილება და ცოდნა, როგორ აარიდოს თავი ალიმენტის გადახდას.

წინააღმდეგობები სასამართლოში

კულტურული წინააღმდეგობების შემდეგ, გამომჟღავნდა თეორიული კატეგორია - წინააღმდეგობები სასამართლოში.

ალიმენტის თანხის ოდენობის კალკულაცია

ქალი რესპონდენტები ამბობენ, რომ ყველაზე სერიოზულ პრობლემას სასამართლოზე წარმოადგენს ალიმენტის თანხის ოდენობის კალკულაცია. მათი თქმით, პირობითი და ბუნდოვანია ის წესი, რომელსაც სასამართლოზე იყენებენ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას. როდესაც კაცები ამბობენ, რომ აღარ მუშაობენ, მიუხედავად იმისა, რომ არის შემთხვევები, რომ ხშირად დასაქმებულები არიან საოჯახო ბიზნესში და ოფიციალური შემოსავალი არ უფიქსირდებათ, ამ დროს ქალებს ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა და იმის ემოციური რესურსი და ენერგია, თავად მოიძიონ მტკიცებულებები და ბოლომდე მიყვანონ ალიმენტის დავის საკითხს. სასამართლო კი, მტკიცებულებების არქონის გამო, ძალიან დაბალ თანხას აწესებს ალიმენტის სახით, რომელიც ბავშვის რჩენისთვის საკმარისი არ არის. დამატებით, როგორც ქალი და ადვოკატი რესპონდენტები ამბობენ, წინასწარი სტერეოტიპული განწყობა მოსამართლეებსაც შესაძლოა ჰქონდეთ, რომ ქალი სათავისოდ ითხოვს ალიმენტს და 50 და 100 ლარიც შესაძლოა საკმარისი იყოს, ასეთი გადაწყვეტილებების დროს კი ბავშვის უფლებები იკარგება. არადა, ბუნებრივია, რომ ალიმენტი არასრულწლოვანი ბავშვის სარჩოა და არა - ქალის.

კალკულაციის პრობლემას ადასტურებენ ადვოკატი რესპონდენტები. ერთ-ერთის თქმით, სრულიად ბუნდოვანი, არაგონივრული და არასამართლიანია ალიმენტის ოდენობის გამოთვლის ხერხები და მიდგომები. ერთ-ერთი რესპონდენტი ადვოკატი კი ამბობს, რომ მოსამართლეები შესაძლოა თვლიან, რომ თანხა ისეთი უნდა იყოს, რომ აღსრულება არ გართულდეს და კაცისთვის აწესებენ ძალიან დაბალ გადასახადს, როგორც არის 30-40-50 ლარი. სინამდვილეში კი, სრულიად წარმოუდგენელია, ამ თანხით ქალმა მოახერხოს ერთი თვის განმავლობაში ბავშვის უზრუნველყოფა.

რესპონდენტი აღსრულების ბიუროდან ამბობს, რომ სასამართლო კრედიტორს აკისრებს შემოსავლის 25%-ს, რომელიც გადახდადია, მაგრამ როდესაც საქმე ეხება სოციალურად დაუცველ კაცს, რომელსაც 70-80 ლარს აკისრებს სასამართლო, შეუძლებელია, მან ამის გადახდა მოახერხოს. აღსრულების ბიუროდან რამდენიმე რესპონდენტი ამბობს, რომ ეცოდებათ ასეთი კაცები, ვინაიდან მათ მართლა არ შეუძლიათ ალიმენტის გადახდა.

საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალი, ადვოკატი და აღსრულების ბიუროს წარმომადგენელი რესპონდენტები ამბობენ, რომ მართალია, სასამართლო დამოკიდებულება, როგორც წესი, ნორმალურია, მაგრამ მაინც ცდილობენ, ემპათია გამოიჩინონ კაცების მიმართ, რის გამოც მოსარჩელესთან შედიან „ვაჭრობაში“ თანხის შემცირებასთან დაკავშირებით.

„სასამართლოში დამოკიდებულება არის ნორმალური, გარდა იმისა, რომ სასამართლოს არ უყვარს გაბერილი, ასე ვთქვათ, ალიმენტის დაკისრება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს 200 ლარზე მეტია საარსებო მინიმუმი, სასამართლომ თუ დაინახა, მოპასუხე მხარეს არ აქვს შესაძლებლობა, აქცენტს აკეთებს, რაღაც ზეწოლასავით ახდენს მოსარჩელეზე, ანუ ჩვენ მხარეზე. ჩამოაკელი, იქნებ და გაითვალისწინო ეს მისი ფინანსური მდგომარეობა, რომ ისიც ხომ ადამიანია, მასაც ხომ უნდა, რომ რაღაც შემოსავალი თვითონაც დარჩეს“ (ადვოკატი).

ერთ-ერთი ადვოკატი რესპონდენტი ამბობს, რომ როდესაც საქმე ეხება სამოქალაქო კოდექსს, ერთი შეხედვით, მას არ აქვს რაიმე ხარვეზი, მაგრამ უკვე პრაქტიკაში იკვეთება ეს ხარვეზები. მისი თქმით, კარგი იქნებოდა, თუ სამოქალაქო კოდექსით გაიწერებოდა ალიმენტის გადახდის კონკრეტული ვადები. დამატებით, იგივე რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ საზოგადოებაში ინფორმაცია

გავრცელდება ალიმენტთან დაკავშირებით, რომ მას არ აქვს ხანდაზმულობის ვადა და ის დაუყოვნებლივ აღსასრულებელ საქმეებში შედის. ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, აუცილებელია, რომ კოდექსშივე იყოს ჩანაწერი ალიმენტის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეს და კაცის ადვოკატს არ ჰქონდეთ ლავირების საშუალება.

სექსისტური სიძულვილის ენა სასამართლოში

მომდევნო პრობლემა, რომელიც შესაძლოა, ქალს სასამართლოში ხვდება საალიმენტო დავისას, არის სექსისტური სიძულვილის ენა. კვლევის მონაწილე ადვოკატები ამბობენ, რომ კაცის ადვოკატმა, შესაძლოა, სასამართლოზე გამოიყენოს სექსისტური სიძულვილის ენა, ე. წ. ბოზობით შერცხვენა, პირადი ცხოვრების დეტალებით მანიპულაცია და ამით დაუპირისპირდნენ ბავშვის ალიმენტზე მოდავე ქალს, რომელმაც შეიძლება, ამ ქალის „გაჩერება“ და „დანებება“ გამოიწვიოს. აქაც უგულებელყოფილია, რომ ქალი ბავშვისთვის ითხოვს ალიმენტს და არა - თავისთვის. კვლევამ გამოამჟღავნა საინტერესო მოვლენა: ადვოკატების თქმით, ალიმენტი, შესაძლოა, აღქმულია წყვილს შორის ჩხუბისა და კონფლიქტის თემად და არა - ბავშვის ინტერესების დაცვის მოვლენად.

ადვოკატი რესპონდენტი ამბობს, რომ საზოგადოებაში წყვილს სექსუალური ცხოვრება და ალიმენტი ერთმანეთში აქვთ არეული, რომელიც კულტურული წინააღმდეგობიდან სასამართლოს პრობლემად გადაიქცევა, რადგან ირიბ გავლენას ახდენს ალიმენტის ოდენობის განსაზღვრაზე. ამავე საკითხზე ერთ-ერთი ადვოკატი აჟღერებს საინტერესო მოვლენას, რომ სექსისტური სიძულვილის ენა აღარ არის „მოდაში“, მოსამართლეებმაც გაიაზრეს ამ ენის გენდერული უთანასწორობის საფუძვლები და ახლა კარგი ნიადაგია ალიმენტის საკითხის წამოწევისა და საზოგადოების განწყობების ცვლილებისათვის.

გაჭიანურებული სასამართლო დავა

მომდევნო წინააღმდეგობა, რომელიც ქალებს ხელს უშლით საალიმენტო დავის წარმატებით დასრულებაში, არის დროის ფაქტორი. ერთ-ერთი ადვოკატი რესპონდენტი ამბობს, რომ საალიმენტო დავა იმდენ ხანს იწელება, რომ იმ პერიოდში როგორ უნდა უზრუნველყოს დედამ შვილი, წარმოუდგენელია.

„დავა მიდის იმდენ ხანს, ეხლა მაქვს ალიმენტის დავა, წელიწად ნახევარია გასული და ჯერ პროცესი არ ჩანიშნულა. ანუ, ეს წელიწად ნახევრის

განმავლობაში რა უნდა ჯამოს იმ ბავშვმა, როგორ უნდა იარსებოს, ისევ ქალზე გადადის“ (ადვოკატი).

დროის პრობლემასთან ერთად, გამოიკვეთა ალიმენტზე მომუშავე მოსამართლეების მცირე რაოდენობა სასამართლო სისტემაში. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს, რომ შესაძლოა, ალიმენტის საქმეები დროში იმის გამო იწელება, რომ ამ საკითხზე მომუშავე მოსამართლეები საკმარისი რაოდენობის არ არიან. ერთ-ერთი მოსამართლის თქმით, შესაძლოა, ალიმენტის დაკისრების გადაწყვეტილებაზე მოსამართლის გენდერს გავლენა ჰქონდეს და მიიჩნევეს, რომ უმჯობესია, ქალი მოსამართლეები იყვნენ ალიმენტის საქმეზე.

ალიმენტის აღსრულება

სასამართლოში არსებული წინაღობების შემდეგ, გამომჟღავნდა თეორიული კატეგორია - **წინაღობები ალიმენტის აღსრულების დროს**, რომლის ქვე-კატეგორიები ქვემოთ არის აღწერილი. მანამდე, სააღსრულებო ბიუროს მიხედვით, მოცემულია 2021 წლის დეკემბრის მონაცემებით, მიმდინარე ალიმენტის აღსრულების საქმეთა რაოდენობა, რომელიც ჯამში შეადგენს 8875 საქმეს. ყველაზე მეტი - 2908 საქმე - არის თბილისში, ხოლო რეგიონების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება:

- იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიურო - 1230
- ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო - 993
- შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო - 106
- კახეთის სააღსრულებო ბიურო - 653
- სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიურო - 637
- სამცხე-ჯავახეთის სააღსრულებო ბიურო - 372
- აჭარისა და გურიის სააღსრულებო ბიურო - 1018
-

კადრების სიმცირე აღსრულების ეროვნულ ბიუროში

ადვოკატი რესპონდენტი ამბობს, რომ აღსრულებას აქვს ბევრი პრობლემა, მათ შორის - კადრების სიმცირე, როდესაც საქმე ალიმენტის აღსრულებას ეხება. როგორც ის ამბობს, მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი თანამშრომელი ჰყავს აღსრულების ბიუროს, რაც დროში აჭიანურებს აღსრულების პროცესს და ისევ ბავშვის ინტერესები ირღვევა.

აღსრულების ბიუროს თანამშრომელი რესპონდენტის თქმით, ალიმენტის აღსრულების საქმე პრიორიტეტად აქვთ აღქმული და პირველ რიგში, კრედიტორს ერიცხება ალიმენტი, თუმცა, აქვე ისიც აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ კადრები გაიზრდება ალიმენტის აღსრულების მიმართულებით.

მხოლოდ ქონების დაყადაღება

ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს, რომ აღსრულებას შეუძლია, მხოლოდ ქონების დაყადაღებით ამოიღოს ალიმენტის თანხა, რაც სინამდვილეში ძალიან არაეფექტურია. კვლევის მონაწილე ადვოკატების თქმით, სახელმწიფოს შეუძლია აღსრულების სხვა ბერკეტების მოიფიქრებაც, მაგალითად, თანხის ამოღება არაოფიციალური დასაქმებიდან შემოსული ფინანსების საფუძველზე, მაგრამ ამის ნება ჯერ არ არსებობს. შესაბამისად, ქალი, შესაძლოა, მარტო რჩება ამ პრობლემის წინაშე.

ადვოკატი რესპონდენტების თქმით, სახელმწიფოსთვის ეს რჩება უბრალოდ ამოუღებელ თანხად და აქ სრულდება აღსრულების პროცესი, ამის იქით სახელმწიფოს აღარ აინტერესებს, რომ ბავშვის ინტერესი ირღვევა, თავის პასუხისმგებლობა აღარ ჰგონია.

როგორც ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს, ქონებიდან ალიმენტის თანხის ამოღების დროსაც იქმნება პრობლემები. მაგალითად, შესაძლოა, აღსრულებამ დაუყადაღოს ალიმენტის გადაუხდელობის გამო კაცს ქონება და სწორედ ამის შემდეგ გადაიხადოს მან დავალიანება, რომ ყადაღა მოხსნას ქონებას და ამის შემდეგ, იგივე ქონება სხვაზე გადააფორმოს და ისევ აღარ გადაიხადოს ალიმენტი. ასეთ დროს, როდესაც ქონების გარდა ალიმენტის ამოღების სხვა მექანიზმი არ არსებობს, ისევ ბავშვის საუკეთესო ინტერესები ირღვევა.

აღსრულების დამოკიდებულება კრედიტორზე

ადვოკატები ამბობენ, რომ აღსრულება დამოკიდებულია კრედიტორზე და თავად არ ცდილობს, სხვა დამატებითი ბერკეტები ჩართოს აღსრულების პროცესში. ქალმა უნდა მიიტანოს სხვადასხვა დოკუმენტაცია და მტკიცებულებები, რომლის მოძიება ხშირად ქალებს ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გამო უჭირთ. ამიტომ, ადვოკატების თქმით, აქ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო. დღეს, სახელმწიფო ქალს ეუბნება, რომ ყველაფრის ინიციატორი ის უნდა იყოს და თავის როლს გამორიცხავს. ადვოკატები ფიქრობენ, რომ როგორც ოდესღაც ოჯახში ძლადობაზე გაატარა სახელმწიფომ ქმედითი ნაბიჯები, იგივე უნდა ქნას ალიმენტის

აღუსრულებლობაზე და ეს ქცევა სამართლებრივად უნდა ჩაითვალოს ეკონომიკურ ძლადობად. ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს, რომ სისხლის სამართალში ასამოქმედებელია ალიმენტისგან თავის ჯიუტად არიდების მუხლიც, რომელიც ამ ეტაპამდე ფორმალურად არსებობს, მაგრამ პრაქტიკა არ არის და აღუსრულებლობის შემდეგ ქალებმა არც კი იციან, რომ მათ შეუძლიათ ალიმენტის საქმის პროკურატურაში გაგრძელება.

აღსრულების წარმომადგენელიც ამბობს, რომ გამოძიების ფუნქცია არ აქვთ, შესაბამისად, არც თვალთვალის, რის გამოც ვერანაირად არკვევენ, მოვალე დასაქმებულია ოფიციალურად, თუ არა. ამიტომ, მათ მხოლოდ ოფიციალური ხელფასის განკარგვა და ქონების დაყადაღება შეუძლიათ.

ერთ-ერთი რესპონდენტი ადვოკატი ამბობს, რომ ალიმენტისგან თავის ჯიუტად არიდების მუხლი გასამკაცრებელია. საქართველოში აღნიშნულ დანაშაულზე მხოლოდ ფინანსური ჯარიმაა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული. მისი თქმით, სხვადასხვა ქვეყნების პრაქტიკებში არსებობს არაერთი შეზღუდვა ალიმენტის გადაუხდელობის შემთხვევაში და კარგი იქნება, თუ მსგავსი მექანიზმები საქართველოშიც იქნება ამუშავებული. ეს შეზღუდვები შეეხება საზღვრის კვეთას, ტაქსის ლიცენზიის ჩამორთმევას და ა. შ.

კაცური კავშირების გამოყენება ალიმენტისაგან თავის ასარიდებლად

ადვოკატები ამბობენ, რომ ხშირია კაცებს შორის გარიგებები სამსახურებში, რათა ალიმენტს აარიდონ თავი. ისინი ურიგდებიან დირექტორებს, რომ ხელზე აიღონ ხელფასი და შესაბამისად, აღსრულება ვეღარ ახერხებს ოფიციალური ანგარიშიდან თანხის ამოღებას. ადვოკატები ამბობენ, რომ გართულებულია ალიმენტის აღსრულება ტაქსის მძღოლების, ხელოსნებისა და ისეთი ადამიანებისგან, რომლებიც ხელზე იღებენ შემოსავალს.

„საფლავის ქვებს ხატავდა კაცი და მისი შემოსავალი ხელზე ჰქონდა და ამიტომ არსად ფიქსირდებოდა. ვერ ხდებოდა მისგან ალიმენტის ამოღება“ (ადვოკატი).

აღსრულების ბიუროს თანამშრომელიც ადასტურებს, რომ მხოლოდ ქონებისა და ოფიციალური გადარიცხვების გაკონტროლება შეუძლიათ. აქვთ ელექტრონული ბაზები და როდესაც წარმოებას იწყებენ, ამ ადამიანს მოვალეთა რეესტრში სვამენ, ანუ ყადაღდება პიროვნების საბანკო ანგარიშები. აღსრულება ცდილობს, შსს-ს ბაზებითაც მოიძიოს ადამიანი და გავიდეს მასთან კონტაქტზე. თუ პირს ოფიციალური შემოსავალი არ აქვს, მაშინ საქმეში რთავენ სოციალურ მუშაკს, მაგრამ, როგორც ადვოკატები ამბობენ, კაცის სახლში ნივთებისა და საკუთრების აღწერაც არ არის მოწესრიგებული და გამართული პრაქტიკა. აღსრულებას ასევე

აქვს საშუალება, შსს-ს მიმართოს იმ შემთხვევაში, თუ ალიმენტის გადახდისგან თავის არიდების ფაქტი ფიქსირდება. როგორც აღსრულების წარმომადგენელი ამბობს, მას რამდენჯერმე გამოუყენებია მსგავსი უფლება, თუმცა ადვოკატები ამბობენ, რომ აღსრულება იშვიათად იყენებს აღნიშნულ საშუალებას.

ერთ-ერთი აღმსრულებელი თვლის, რომ კარგი იქნება, თუ გაფართოვდება ინფორმაციულ ბაზებზე ხელმისაწვდომობა, რაც მათ დაეხმარება, უკეთ აღრიცხონ კაცის ქონება, გარდა ოფიციალური და ანგარიშზე არსებული აქტივებისა. ამას გარდა, ის თვლის, რომ კარგი იქნება, თუ კაცს რაღაც სოციალურ აქტივობებში შეეშლება ხელი, მაგალითად ჩამოერთმევა მართვის მოწმობა და ვერ შეძლებს ქვეყნის დატოვებას.

აღსრულების წარმომადგენელი ამბობს, რომ თუ მათ იციან, რომელ კერძო კომპანიაში მუშაობს მოვალე, ამ კომპანიას წერილობით მიმართავენ და ავალდებულებენ, რომ შემოსავლიდან გარკვეული თანხა დაექვითოს კაცს. ამას ისინი ახორციელებენ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილი ხდება, რომ მოვალე სადმე მუშაობს. აღსრულების ბიუროს თანამშრომლის მიხედვით, კარგი იქნება, თუ კომპანიებისთვის შეიქმნება კანონი, რომ ხელზე გადახდის, ან კაცის შემოსავლის დამალვის ხელშეწყობისთვის კომპანიები დაჯარიმდებიან.

აღსრულების ბიუროს ერთ-ერთი თანამშრომელი, საალიმენტო დავის გამოცდილების მქონე ქალი რესპონდენტებისგან განსხვავებით, ამბობს, რომ აღსრულების პროცესი ბიუროკრატიულად მარტივია და დროში არ იწელება. აღმსრულებლები ამბობენ, რომ კრედიტორ ქალებს თანხის მოპოვების პროცესი ეჩვენებათ დიდ დროდ, რაც თავის პროცედურებს მოიაზრებს. გარდა ამისა, როგორც აღმსრულებელი ამბობს, ის ვერ გადასცემს პროკურატურას ალიმენტის აღსრულებლობის საქმეს, რადგან ქონებისა და პირადი ანგარიშის იქით, თუკი რამე უფიქსირდება კაცს, ამისი გარკვევა მათი ძალებით ძალიან ძნელია. აღსრულებას უჭირს მტკიცებულებების მოძიება და კაცის მხრიდან ალიმენტზე ჯიუტად თავის არიდების ფაქტის დამტკიცება.

სოციალურად დაუცველი მამა, თუ სიღარიბით მანიპულაცია?

როგორც აღსრულების ბიუროს თანამშრომელი ამბობს, ალიმენტისგან თავის ჯიუტად არიდების ძირითადი მიზეზი კაცის სოციალურად დაუცველობა და რეალური გაჭირვებაა. ამ დროს, კარგი იქნება სახელმწიფომ იზრუნოს ასეთ ბავშვებზე. ამავე დროს, მან თქვა, რომ შესაძლოა, ეს იყოს სიღარიბით მანიპულაცია, რადგან ხშირ შემთხვევებში, დედაც სოციალურად დაუცველია, რომელიც ბავშვთან რჩება და ამის გამო ორმაგ ჩაგვრას განიცდის.

აღსრულების ბიუროს ერთ-ერთი თანამშრომელი ამბობს, რომ ხშირია, როდესაც კაცი მართლა ვერ იხდის ალიმენტს და ცდილობს, თავიდან მომართოს ბიუროს, კრედიტორს მოურიგდეს, რათა სახლი არ დაკარგოს. ასევე, იგივე რესპონდენტი ამბობს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1225 მუხლის მიხედვით, თუ მამა ვერ იხდის ალიმენტს და დედას აღარ შეუძლია შვილის/შვილების რჩენა, ბებიასა და პაპას ეკისრებათ შვილიშვილის ალიმენტის თანხის გადახდა.

წინაღობები პროკურატურაში

აღსრულების ბიუროში არსებული წინაღობების შემდეგ, გამომჟღავნდა თეორიული კატეგორია - **წინაღობები პროკურატურაში**, რომლის ქვეკატეგორიები ქვემოთ არის აღწერილი.

როგორც სისხლის სამართლის ადვოკატი ამბობს, ბავშვის ალიმენტის აღუსრულებლობის შემთხვევებში, პროკურატურაში საქმეები თითქმის არ მიდის. ეს ხდება ორი მოვლენის გამო: ერთი, რომ ქალებს ამაზე ინფორმაცია არ აქვთ და არ ჰყავთ იურისტები, და მეორე, თუ ქალმა სცადა პროკურატურაში საალიმენტო საქმის გაგრძელება, გამომძიებლებისა და იმ ადამიანებისგან, რომელთაც ინფორმაციის შეგროვება ევალებათ, ზუსტად ისეთივე არასერიოზული დამოკიდებულება მიიღო, როგორც ოდესღაც ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებით ჰქონდათ.

ერთ-ერთი ადვოკატი ამბობს, რომ ალიმენტის გადაუხდელობის გამო დასჯილი კაცი თავის 15-წლიან საადვოკატო პრაქტიკაში ჯერ არ უნახავს.

კვლევის დროს გამოკითხული 5 პროკურორიდან არც ერთ მათგანს არ ჰქონია საქმე ალიმენტის გადახდისგან თავის ჯიუტად არიდების მუხლთან. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აღუსრულებელი ალიმენტის საქმეები ფაქტობრივად არ მიდის პროკურატურაში. ერთ-ერთი პროკურორი ამბობს, რომ ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ ეს წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და გამომძიებელი ვერ ახერხებს მტკიცებულებების მოძიებას. მისი თქმით, იმ ინფორმაციის გამოთხოვის საშუალება არ არსებობს, რაც ნათელს გახდიდა, თუ რატომ ან როგორ არიდებს კაცი ალიმენტის გადახდას თავს. ამავე მიზეზით არ აგზავნის აღსრულებაც აღნიშნულ საქმეებს პროკურატურაში, რადგან იცის, რომ პროკურატურა მაინც ვერაფერს მოიძიებს და ეს როლიც მთლიანად კრედიტორზეა გადატანილი.

ერთ-ერთი პროკურორი ამბობს, რომ როგორც წესი, აუცილებელია პირადი ინფორმაციის გამოთხოვა ალიმენტისგან ჯიუტად თავის არიდების დასადგენად, ამ დოკუმენტაციის გამოთხოვისას კი პრობლემები ექმნება პროკურატურას. პროკურორები ვერ ახერხებენ საჯარო რეესტრიდან ინფორმაციის ამოღებას კაცზე, ვერანაირ დეტალურ ინფორმაციას ვერ აგროვებენ. მისი აზრით, ოჯახური დავები გამონაკლისის სახით უნდა იყოს შეტანილი კანონში; მართალია, ეს არ არის მძიმე დანაშაული, მაგრამ საჭიროებს ბევრ ინფორმაციასა და მტკიცებულებას. პროკურორის თქმით, შესაძლებელი უნდა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის გამოყენება. 136-ე მუხლით ხდება პირადი ინფორმაციის გამოთხოვა ადამიანზე.

ერთ-ერთი პროკურორი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ქალები იმიტომ არ მიმართავენ პროკურატურას, რომ არ იციან, რომ სისხლის სამართლის კოდექსში ასეთი მუხლი არსებობს.

მოწმის ვალდებულება

ერთ-ერთი კვლევის მონაწილე პროკურორის მიხედვით, პრობლემას წარმოადგენენ მოწმეებიც. ხშირად კაცები მუშაობენ ტაქსის მძღოლებად, არ უფიქსირდებათ ოფიციალური ჩარიცხვები, რამდენიმე სამსახური შეიძლება ჰქონდეთ, სადაც ოფიციალური დარიცხვები არ აქვთ. ამ დროს საჭირო ხდება კაცის ახლობლების მხრიდან მოწოდებული ინფორმაცია. მათი თქმით, ყველა საქმეზე გართულებულია ოჯახის ახლობელი მოწმეების დაკითხვა. ახლო ნათესავებს აქვთ უარის თქმის უფლება, რომ მამხილებელი ჩვენება არ მისცენ. პროკურორი თვლის, რომ ამ ვითარებაში განსაკუთრებით გაჭირდება მეზობლების, ან სხვა ახლობლების დავალდებულება, რომ გამოძიებას მიაწოდონ რეალური ინფორმაცია. მისივე თქმით, კარგი იქნება, თუ საკანონმდებლო ცვლილება მოხდება, რის მიხედვითაც ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ იქნება შესაძლებელი. ამ შემთხვევაში მოხდება ალბათ უკვე ოჯახის წევრის მხრიდან ჩვენების მიცემა. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ არც სასამართლოს აქვს უფლება, ჩაერიოს მის ნებაში.

ერთ-ერთი პროკურორი ყვება, რომ მას ჰქონია საქმე, როდესაც მიმართეს ჯიუტად თავის არიდების ფაქტზე. კაცი მუშაობდა ბენზინგასამართ სადგურზე, მაგრამ, როდესაც მოწმეების გამოკითხვა მოხდა, ყველამ უარყო ეს ფაქტი და შემდეგ გართულდა უკვე საქმის წარმოება.

პროკურორის აზრით, ისევე, როგორც ადვოკატების აზრით, ალიმენტისგან თავის ჯიუტად არიდების მუხლი არ მუშაობს, ის არ არის მოქმედი და პრევენციული. მოვალეს ეკისრება მხოლოდ ჯარიმა. პროკურორის აზრით, თუ უფრო გამკაცრდება მუხლი, შესაძლებელი იქნება თანხის ამოღება. მისი თქმით, დანაშაულად მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეები აღიქმება საქართველოში.

დამატებით, პროკურორების მონათხრობში გამომჟღავნდა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც აღარ მიყვებიან ქალებს აღსრულებისა და პროკურატურის ნაწილში, რომელიც უფრო ართულებს ალიმენტის აღსრულების ან ჯიუტად თავის არიდების მოვლენას.

კვლევის დროს, რესპონდენტებმა ისაუბრეს იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვეყანაში ალიმენტის საკითხი დარეგულირდეს და გათვალისწინებულ იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

აღსრულების ბიუროს თანამშრომელი ყვება, რომ აღსრულების ბიურომ წამოიწყო საინფორმაციო კამპანია. მათ მოამზადეს რეკლამა ალიმენტთან დაკავშირებით, რომელიც გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში და ახლაც ძვეს აღსრულების ბიუროს ვებგვერდზე. მისი თქმით, კარგი იქნება, ამ მიმართულებით, თუ უფრო ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია დაიგეგმება და განხორციელდება.

ერთ-ერთი პროკურორი ამბობს, რომ სამივე სახელმწიფო ორგანომ: სასამართლომ, აღსრულებამ და პროკურატურამ რაიმე საერთო კონფერენცია, ან სამუშაო გეგმა უნდა შეიმუშაოს, რომ უწყებებმა ერთმანეთში გაცვალონ ალიმენტის საკითხთან დაკავშირებული ცოდნა და ინფორმაცია. მისი აზრით, აუცილებელია, გაიწეროს, ყველა რგოლის პრობლემა, რადგან იმის გარკვევა მოხდეს, თუ რატომ ვერ მიდის საქმეები პროკურატურამდე. რესპონდენტის აზრით, ინფორმაციების გაცვლა იქნებოდა ნაყოფიერი.

ერთ-ერთი პროკურორი ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ პროკურატურა ამ საკითხთან დაკავშირებით ბროშურას მოამზადებს და უკეთესი იქნება, თუ ყველა მხარე - არასამთავრობოები, სასამართლო, აღსრულების ბიურო და პროკურატურა ერთობლივად მოამზადებს რაიმე კამპანიას.

ადვოკატი რესპონდენტის აზრით, კარგი იქნება, თუ შეიქმნება ე. წ. ავანსის ფონდი, რომელიც ალიმენტის აღსრულებამდე გადაუხდის ბავშვს თანხას. მისი თქმით, ავანსის ფონდის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო უფრო ამოქმედდება და მაქსიმალურად ეცდება თანხის ამოღებას მოვალისგან.

აღსრულების ბიუროს თანამშრომელი ამბობს, რომ ეფექტური იქნება, თუ გატარდება პრევენციული ზომები, მაგალითად, კაცები ვეღარ აიღებენ ლიცენზიებს, ნადირობის ნებართვას, მართვის მოწმობას, ტაქსის მართვის მოწმობასა და ა. შ. მისივე თქმით, კარგი იქნება, თუ ფინანსური პოლიცია უფრო ხშირად ჩაერევა აღუსრულებელი ალიმენტის საქმეებში.

ალიმენტისგან ჯიუტად თავის არიდება, როგორც ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა

რესპონდენტების უმრავლესობამ ისაუბრა, რომ ალიმენტისგან ჯიუტად თავის არიდება ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება განიხილოს. ადვოკატების თქმით, როდესაც ქალი შორდება კაცს, მას უკან, მამისა და ძმის სახლში დაბრუნებაც კი უჭირს და გარდა იმისა, რომ საკუთარი თავი უნდა გადაარჩინოს, რასაც ვერ ახერხებს ხშირ შემთხვევებში იმიტომ, რომ არ აქვს პროფესია და სამუშაო გამოცდილება, ბავშვი/ბავშვებიც მისი დამატებითი პრობლემა ხდება. მან უნდა შეძლოს ბინის ქირის გადახდა, გაზარდოს ბავშვები და ამ დროს, ყოფილი ქმარი, რომელიც ბავშვს ალიმენტს არ უხდის, შესაძლოა, ეკონომიკურად მასზეც ძალადობს და ამ კონტექსტში წარმოიქმნება ოჯახს გარეთ არსებული ბავშვების მიმართ დამოკიდებულება - წავიდა ქალი და წაიყვანა ბავშვები, ამიტომ თავად მიხედოს.

ერთ-ერთი პროკურორი თვლის, რომ ალიმენტისგან თავის ჯიუტად არიდება, თითქოს ძალადობრივი დანაშაული არ არის, მაგრამ ცალსახად ეკონომიკური ძალადობაა და კანონმდებელიც უფრო სერიოზულად უნდა უდგებოდეს.

და ბოლოს, ერთ-ერთი აღმსრულებელი ამბობს, რომ ეკონომიკურ ძალადობად ვერ ჩათვლის ალიმენტის საქმეს, როდესაც საქმე სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეხება, ვინაიდან ასეთ კაცებს მართლა არ აქვთ არაფერი, რომ გადაიხადონ, ამიტომ ასეთ ბავშვებზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს.

შეჯამება

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ ბავშვის ალიმენტის საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, საქართველოში არსებობდეს რამდენიმე კულტურული და საკანონმდებლო წინაღობა და ბარიერი.

კულტურულ წინაღობებს შორის აღსანიშნავია ქალის გენდერულ როლზე მორგება, რის მიხედვითაც, ქალები განქორწინების შემდეგ საალიმენტო დავას არ იწყებენ; ისინი ქალზე გენდერული როლის მოლოდინს ერგებიან, რომლის მიხედვითაც, ქალი უნდა იყოს მომლაპარაკებელი, მშვიდი, და სათნო. ამავე დროს, არსებობს ბავშვის სტიგმატიზაციის რისკი, თუ ის ქორწინების გარეშე დაიბადა. ამიტომ ქალები ხშირად საალიმენტო დავის დაწყების ნაცვლად, ბავშვის მამის გვარის მოპოვებას ცდილობენ, რომ სოციალურ წესრიგს მოერგონ.

შემდეგ წინააღობად შეიძლება განიხილებოდეს ის ფაქტიც, რომ ხშირად ქალები ალიმენტთან დაკავშირებით, უადგილო თავმოყვარეობას ავლენენ. ამ სიამაყისა და თავმოყვარეობის უკან რამდენიმე გენდერულად მხაგრელი ინტერპრეტაცია და მითი დგას, რომლის გამოც ქალებს, შესაძლოა, „უწევთ“ საკუთარი თავის

თავმოყვარე და ამაყ ადამიანებად წარმოჩენა. ერთ-ერთი ასეთი მითი, რესპონდენტების მიხედვით, არის ის, რომ თითქოს ქალები „ფულს დასდევენ“, „მეშჩანები“ და „ვიგოდნიცები“ არიან და ეს ყველაფერი „საკუთარი თავისთვის, ბოტოქსებისა და გართობისთვის“ უნდათ. კაცები, აღნიშნულ ცრუ მითს ხშირად პირადი საუბრების დროსაც კი იყენებენ, რომ ამგვარი დანამუსებით მათ საალიმენტო დავის გაგრძელებაზე უარი ათქმევინონ.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ არსებობს ასეთი მოვლენა, როდესაც მამები შვილებს „ებუტებიან“ და „ემოციურ ბმას წყვეტენ“ მათთან, თუ დედასთან გაწყვიტეს ურთიერთობა.

ასევე, საალიმენტო დავა იმდენად **დამღლელია ქალისთვის**, რომ თუ მას მცირედი შემოსავალი მაინც აქვს, ამჯობინებს, თავი დაანებოს დავას. დამატებით, ჩნდება **ფენობრივი და გეოგრაფიული უთანასწორობის** შტრიხები. ქალები, რომლებიც საშუალო, ან მაღალ ფენას ეკუთვნიან, შესაძლოა, უფრო მეტ ინფორმაციას ფლობდნენ ალიმენტის დავისა და იმ ადვოკატების შეახებ, რომლებიც ერკვევიან და თანხმობას ამბობენ საალიმენტო დავაში მონაწილეობაზე. ასევე, გეოგრაფიულად, შესაძლოა თბილისში, განსაკუთრებით, თბილისის ცენტრში მცხოვრები ქალებისთვის უფრო ხელმისაწვდომი იყოს გამოცდილი ადვოკატები და ის ინფორმაცია, რომელიც ქალს საალიმენტო დავის პროცესში გამოადგება, ვიდრე თბილისს გარეთ, რეგიონებში, პატარა ქალაქებსა და სოფლებში. დამატებით, პრობლემა არის საალიმენტო დავებში **გამოუცდელი ადვოკატების არსებობა**.

ქალებისთვის სასამართლოში საალიმენტო დავის დაწყება არა მხოლოდ პერსონალურ, არამედ სოციალურ სირთულეს წარმოადგენს. თუ ქალს ჰყავს ოჯახი, მშობლები და ნათესავები, ეს სოციალური „სირცხვილი“ მათზე გადადის, რომ თითქოს ქალი ფულს საკუთარი საჭიროებებისთვის ითხოვს. ამ წნეხის ფონზე, ქალი ხშირად თავს იკავებს, დაიწყოს საალიმენტო დავა, რადგან მისი ოჯახი და ნათესავები არ გახდნენ საზოგადოების მხრიდან სტიგმატიზებული.

რაც შეეხება სასამართლოში, აღსრულებასა და პროკურატურაში საკანონმდებლო და ზოგად გამოწვევებს:

სასამართლოში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს **ალიმენტის თანხის კალკულაცია**. ბუნდოვანია ის წესი, რომელსაც სასამართლოზე იყენებენ ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას.

მომდევნო პრობლემა, რომელიც შესაძლოა, სასამართლოში საალიმენტო დავისას ხვდება ქალს, არის **სექსისტური სიძულვილის ენა**. კაცის ადვოკატმა, შესაძლოა, სასამართლოზე გამოიყენოს სექსისტური სიძულვილის ენა, ე. წ. ბოზობით შერცხვენა, პირადი ცხოვრების დეტალებით მანიპულაცია და ამგვარი ფსიქოლოგიური ზეწოლით შეეცადოს, რომ შეაწყვეტინოს ქალს საალიმენტო დავა.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ აღსრულებას აქვს კადრების სიმცირის პრობლემა. წინააღმდეგობას წარმოადგენს ასევე ისიც, რომ აღსრულებას მხოლოდ ქონების დაყადაღებით შეუძლია ალიმენტის თანხის ამოღება, რაც სინამდვილეში ძალიან არაეფექტურია. ასევე, აღსრულება დამოკიდებულია მხოლოდ კრედიტორზე და თავად არ ცდილობს აღსრულების პროცესში სხვა დამატებითი ბერკეტები ჩართვას, კერძოდ, მტკიცებულებების მოძიების მიმართულებით. ქალმა უნდა მიიტანოს სხვადასხვა დოკუმენტაცია და მტკიცებულებები, რის მოძიებაც მას ხშირად ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გამო უჭირს.

რაც შეეხება პროკურატურაში არსებულ საკანონმდებლო და ზოგად გამოწვევებს: აღსრულების შემდეგ, პროკურატურაში საქმეები საერთოდ არ მიდის ორი მიზეზით. ერთი, რომ ქალებს ამაზე ინფორმაცია არ აქვთ და არ ჰყავთ იურისტები და მეორე, თუ ვინმემ სცადა პროკურატურაში საალიმენტო საქმის გაგრძელება, გამომძიებლებისა და იმ ადამიანებისგან, რომელთაც ინფორმაციის შეგროვება ევალებათ, ზუსტად ისეთივე არასერიოზული დამოკიდებულება მიიღო, როგორც ოდესღაც ოჯახში ძალადობის საქმეებთან მიმართებით ჰქონდათ.

კვლევის მონაწილე პროკურორები თანხმდებიან, რომ გამომძიებელს ნაკლებად მძიმე დანაშაულზეც უნდა შეეძლოს პირადი ინფორმაციის გამოთხოვა და საქმეზე მტკიცებულებად მიმაგრება. პროკურორის აზრით, ისევე, როგორც ადვოკატების აზრით, ალიმენტისგან თავის ჯიუტად არიდების მუხლი არ არის მოქმედი და პრევენციული. ალიმენტისგან ჯიუტად თავის არიდების გამო მოვალეს მხოლოდ ჯარიმა ეკისრება. პროკურორის აზრით, თუ მუხლი უფრო გამკაცრდება, შესაძლებელი იქნება თანხის ამოღება. მისი თქმით, დანაშაულად მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეები აღიქმება საქართველოში.

ბიბლიოგრაფია:

1. ლომთათიძე, ე. ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება - საუკეთესო პრაქტიკის კვლევა, საფარი, თბილისი, 2022;
2. ჯაფარიძე, ქ. „მშობლებისა და შვილების პირადი და ეონებრივი ურთიერთობები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2018, გვ.145
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
4. McMullen. J., Alimony: What Social Science and Popular Culture Tell Us About Women, Guilt, and Spousal Support After Divorce, DUKE JOURNAL OF GENDER LAW & POLICY Volume 19:41 2011
5. <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=19456&lang=geo;>
6. http://nbe.gov.ge/index.php?sec_id=536&lang_id=GEO;
7. [https://batumelebi.netgazeti.ge/news/58904/;](https://batumelebi.netgazeti.ge/news/58904/)